ბრძანება:ბ23.23221171
თარიღი:27/04/2022

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ

,,გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის N44 13 განკარგულების „ზესტაფონის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის, ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ ღამბაშიძე - (კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) ირმა გიორგაძე - (თავმჯდომარის მოადგილე) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი კაკოიშვილი - (კომისიის წევრი) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

დ) მაია ჩხეიძე - (კომისიის წევრი) ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე;

ე) ნუგზარ ფერაძე - (კომისიის წევრი) ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე;

ვ) ელისო ბოგვერაძე - (კომისიის წევრი) საკრებულოს წევრი;

ზ) მარინე ცქიფურიშვილი - (კომისიის მდივანი) საკრებულოს აპარატის სპეციალისტი;

თ) ილია ფუტკარაძე - (კომისიის წევრი) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ი) ნათელა შარიქაძე - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წწლის 23 თებერვლის N№23.23220542 ბრძანება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“.

3. ბრძანება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ოქმი N 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ქ. ზესტაფონი **15 ოქტომბერი 2020 წელი. 12 საათი.**

2020 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვ. ღამბაშიძე – გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: მ. ჩხეიძე, ბ. წაქაძე, ნ. კაციტაძე.

დღის წესრიგი:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პრევენციის ღონისძიებების თაობაზე.

(მომხსენებელი მ. ჩხეიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი)

2. სხვადასხვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პრევენციის ღონისძიებების თაობაზე.

(მომხსენებელი მ. ჩხეიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ოფიციალურად არ ფიქსირდება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, მაინც შეინიშნება ასეთი გამოვლინებები. აღნიშნული მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა პრევენციული ზომების გატარება. მიზანშეწონილად მიმაჩნია მოსახლეობასთან ინფორმაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარება, შესაბამისი ბროშურებისა და ბუკლეტების მიწოდება. პანდემიის გამო ინტენსიური ხასიათის შეხვედრების ჩატარება არ არის მიზანშეწონილი და ამ მხრივ პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ უნდა გამოინახოს საშუალებები, რომ მაინც მოხდეს ასეთი შეხვედრების ორგანიზება.

აზრი გამოთქვეს: ვ. ღამბაშიძემ, ბ. წაქაძემ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ გადაწყვიტა:

გააქტიურდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ამით გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დასრულდა.

გენდერული თანასწორობის
საბჭოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი N 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ქ. ზესტაფონი **15 თებერვალი 2022 წელი**
დას.12.00 სთ.

2022 წლის 15 თებერვალს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვ. ღამბაშიძე – გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: ე. ბოგვერაძე, მ. ჩხეიძე, ი. გიორგაძე, ბ. წაქაძე, ნ. შარიქაძე.

დღის წესრიგი:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პრევენციის ღონისძიებების თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პრევენციის ღონისძიებების თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ოფიციალურად არ ფიქსირდება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, მაინც შეინიშნება ასეთი გამოვლინებები. აღნიშნული მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა პრევენციული ზომების გატარება. მიზანშეწონილად მიმაჩნია მოსახლეობასთან ინფორმაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარება, შესაბამისი ბროშურებისა და ბუკლეტების მიწოდება. უნდა გამოინახოს საშუალებები, რომ მოხდეს შეხვედრების ორგანიზება.

აზრი გამოთქვეს: ნ. შარიქაძემ, ე. ბოგვერაძემ, ი. გიორგაძემ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ გადაწყვიტა:

გააქტიურდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში საკრებულოს გენდერული თანასწორობის კუთხით პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ამით გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დაიხურა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი N 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ქ. ზესტაფონი **29 სექტემბერი 2022 წელი**
დას.12.00 სთ.

2022 წლის 29 სექტემბერს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვ. ღამბაშიძე – გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: ი. გიორგაძე, გ. კაკოიშვილი, ე. ბოგვერაძე,
მ. ჩხეიძე, ნ. ფერაძე, ი. ფუტკარაძე,
მ. ცქიფურიშვილი, ნ. შარიქაძე.

დღის წესრიგი:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც თქვენთ ცნობილია, მიმდინარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პარამეტრების შემუშავება. განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა მიექცეს გენდერული კუთხით პროგრამების შემუშავებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები.

აზრი გამოთქვეს: გ. კაკოიშვილმა, ნ. შარიქაძემ, ი. გიორგაძემ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ გადაწყვიტა:

გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით ეთხოვოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვასილ გველესიანს, 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შემუშავებისას გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები.

ამით გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დაიხურა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი N 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ქ. ზესტაფონი **26 აპრილი 2023 წელი**
დას.10.00 სთ.

2023 წლის 26 აპრილს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვ. ღამბაშიძე – გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: გ. კაკოიშვილი, ბ. წაქაძე, ე. ბოგვერაძე,
მ. ჩხეიძე, ნ. ფერაძე, ი. ფუტკარაძე,
მ. ცქიფურიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ადმინისტრაციული აქტის „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ადმინისტრაციული აქტის „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილია 2023-2024 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა და საბჭოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გ. კაკოიშვილმა, მ. ცქიფურიშვილმა, ბ. წაქაძემ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ გადაწყვიტა:

მოწონებული იქნას ადმინისტრაციული აქტის „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ პროექტი და გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ამით გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დაიხურა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**